# ლელო

№ 39 (10 208)
25 თებერვალი, კვირა
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდოისტთა თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის წინ

# კატეგორია — უმაღლესი!

**თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს ძიუდოში გამორჩეული ადგილი უკავია სპორტის ამ სახეობის შეჯიბრებათა წლიურ კალენდარში და მას სამართლიანად აქვს მინიჭებული უმაღლესი „ა“ კატეგორიის ასპარეზობის სტატუსი. ამ ტურნირებზე დავაყკაცდა სახელოვან ძიუდოისტთა არაერთი თაობა. 27 თებერვალს თბილისის სპორტის სახახლეში ოცდამეერთედ დაიწყება ეს პოპულარული შეჯიბრება. მასპინძლებს ახლა მოცლა არა აქვთ, ემზადებიან მის ღირსეულად, მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ტურნირისათვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვეაუბრეთ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონს შოთა ხაბარელს, რომელიც რედაქციაში გვეწვია.**

**● თბილისის ტურნირის ორგანიზატორებს უდიდესი გამოცდილება აქვთ, მაინც მინდა გკითხოთ, როგორ მიმდინარეობს ორგანიზაციული საკითხების მოგვარება?**

— ყველაფერი რიგზეა, გუშინწინ კიდევ ერთხელ შეიკრიბა საორგანიზაციო კომიტეტი, სადაც აღინიშნა, რომ შეჯიბრებასთან დაკავშირებული ყველა საქმე შეუფერხებლად სრულდება. მე მრავალი ტურნირი მინახავს და არ გეგონოთ ვაჭარბებდე, ორგანიზაციული თვალსაზრისით ჩვენსას ვერც ერთი ვერ შეედრება. ყველას კმაყოფილს ვისტუმრებთ თბილისიდან.

**● ხომ არ შენელდა ინტერესი თბილისის ტურნირის მიმართ?**

— თითქოს არის ამის მცირე ნიშანი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი მდგომარეობა. მე სულ ახლახანს ვიყავი ჯერ იაპონიაში, შემდეგ საფრანგეთში. იქ საქართველოს შესახებ აჩვენებენ ყველაფერს, ისეთ ამბებს გაიგებ, შეიძლება თბილისში იყო და ყურიც ვერ მოჰკრა. ჩემთვის ძნელია იმის თქმა, თუ როგორ აღიქვამენ ამ გადაცემებს იქაური მაყურებლები, მაგრამ ვინც აქ უნდა ჩამოვიდეს, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს.

**● ხომ არ შეხუხტდება თბილისის ტურნირის დონე, რამდენი გუნდი აპირებს ამჯერად ჩამოხვლას?**

— სიფრთხილე კი ვახსენე, მაგრამ ეს თბილისის ტურნირის დონეს ნამდვილად არ დაეტყობა. რაც მთავარია, საუკეთესო გუნდით ჩამოდიან ფრანგი ძიუდოისტები, იაპონიის ძლიერი მოჭიდავეები. აღიარებული ნაკრებებიდან ალბათ მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი არ გვესტუმრება, ისიც იმის გამო, რომ ჩვენი ტურნირი ამ ქვეყნის ჩემპიონატს დაემთხვა. თბილისში ალბათ ჩამოვლენ ყველა სოციალისტური ქვეყნის მოჭიდავეები. ჯერ ექვსი განაცხადი მივიღეთ, მაგრამ 12-14 გუნდი ნამდვილად მოგროვდება.



შოთა ხაბარელი.

**● ადრინდელებისაგან განსხვავებით რატომ ტარდება ტურნირი შუა კვირაში?**

—ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვეთვალისწინებინა საერთაშორისო შეჯიბრებათა კალენდარი. ეს აუცილებლად უნდა გააკეთონ „ა“ კატეგორიის ტურნირის მასპინძლებმა.

**● ტურნირზე იმდენ პირველ ადგილს იკავებენ ჩვენი ძიუდოისტები, რომ ზოგს აეჭვებს კიდეც ჩამოსული მოჭიდავეებიხ სიძლიერე.**

— ეტყობა, სათანადოდ არ ვაფასებთ ჩვენი შეჯიბრების დონეს. აქ ძალიან ძლიერი მოჭიდავეებიც კი მარცხდებიან. ადრე ჩვენს ბიჭებს იაპონელებისა ეშინოდათ, ცოტა თავიც კი მოსწონდათ, იაპონელებთან წავაგეთო. ახლა სიტუაცია შეიცვალა, უკვე თვითონ ძალიან სურთ იაპონელებს შეხვდნენ და დაამარცხონ ისინი. გახსოვთ, შარშან აქ გამოდიოდნენ კოგა და ოგავა. იმავე წელს ორივე მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ამასთან ოგავამ ორ წონაში გაიმარჯვა.

**● საქართველოს ნაკრები ტურნირზე ტრადიციულად ცალკე გუნდით ასპარეზობს. რამდენი ჩვენი სპორტსმენი გამოვა ამჯერად ტატამზე?**

— 42-43 მოჭიდავე, ტატამზე გამოვა თითქმის ყველა ჩვენი უძლიე-

იხ. მე.2 გვ

# ძიუდოც და ქართული ჭიდაობაც

**27, 28 თებერვალს და 1 მარტს** თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში.

**2 მარტს** ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში ამ ტურნირის მონაწილენი შეეჯიბრებიან ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში გამოვლენ 66, 72, 80 90 კგ წონითი კატეგორიებისა და მძიმე წონის ფალავნები.

ძიუდოისტთა ტურნირის განრიგი ასეთია:

**27 თებერვალი.** 86, 95 კგ და მძიმე წონები. შეხვედრების დასაწყისი 11 და 18 საათზე.

**28 თებერვალი.** 65, 71 და 78 კგ. დასაწყისი 11 და 18 საათზე.

**1 მარტი.** 60 კგ და აბსოლუტური კატეგორია. დასაწყისი 11 და 17 საათზე.

ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, როგორც გაუწყეთ, გაიმართება **2 მარტს** ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (ვერის ბაღი). დასაწყისი 11 და 17 საათზე.

**26 თებერვალს** სპორტის სასახლეში კი დანიშნულია პრესკონფერენცია. დასაწყისი 18 საათზე.



# ჩოგოვაძის „ოქრო“ და „ბრინჯაო“



**როგორც** ვიუწყებოდით, პენზაში გამართულ წყალში მხტომელთა სსრ კავშირის ჩემპიონატში თბილისელმა გიორგი შელიუგოვმა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ამ შეჯიბრების პარალელურად „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე საკავშირო ტურნირიც მიმდინარეობდა. სპორტსმენები, ფაქტობრივად, ერთდროულად ორ შეჯიბრებაში ცდიდნენ ძალას. თავის დროზე ასპარეზობიდან მივიღეთ ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები მეორე თბილისელი სპორტსმენის გიორგი ჩოგოვაძის შესახებ. ამიტომ ეს ინფორმაციები დაზუსტების საჭიროებდა.

ახლა ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ჩოგოვაძემ ჩემპიონატში 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ხოლო გაზეთის პრიზზე გამართულ პაექრობაში ყველას აჯობა.

ხურათზე: გიორგი ჩოგოვაძე.

# ათნი — კვარცხლბეკზე, თორმეტნი — ნაკრებში

**სპორტსაზოგადოება** „მართვეს“ ათმა იუნიორმა მოჭიდავემ დაიკავა საპრიზო ადგილი „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში. ამათგან სამი ჩემპიონი გახდა. ესენი არიან: გ. სისაური (ფიზკულტურის ინსტიტუტი, 57 კგ), დ. ხაბელაშვილი (ზოოვეტერინარული ინსტიტუტი, 74 კგ) და რ. კუპატაძე (№18 პროფ. სასწავლებელი, 100 კგ).

კ. ჯაბიძემ (82 კგ) და კ. ჩაბაკაურმა (90 კგ) ტურნირზე მეორე ადგილები დაიკავეს, ხოლო დანარჩენი ხუთი — გ. ბერუაშვილი (57), ნ. კოკაბიძე (68), გ. ივანიშვილი (74), ვ. თათრულაიძე (82) და დ. აბრამიშვილი (90) შეჯიბრების ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ. „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს იუნიორთა ნაკრებში 12 ჩვენი მოჭიდავე მოხვდა.

# კარატე თუ კარატე-დო?

**ბოლო** ხანს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი სასიკეთო სიახლის მოწმენი გავხდით. აღმოსავლური ორთაბრძოლების ყველა თაყვანისმცემლისა და მიმდევრისათვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ისეთი ორგანიზაციების შექმნა, როგორებიცაა: სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაცია, საქართველოს უშუს და ტრადიციული კარატეს ფედერაციები. მათ ჩამოყალიბებისთანავე ინტენსიური მუშაობა დაიწყეს საერთაშორისო ორგანიზაციებში პირდაპირ (უშუალო) და სრულუფლებიან წევრებად გაერთიანებისათვის: ასოციაციის სურვილია გახდეს კარატეს ორგანიზაციათა მსოფლიო კავშირის — ვუკოს წევრი, შოტოკან-კარატეს ფედერაციამ კი უკვე მიაღწია საწადელს — გახდა ევროპის ტრადიციული კარატეს ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი და მოიპოვა უფლება წარგზავნოს საქართველოს ნაკრები გუნდი მის ყველა შეჯიბრებასა და ჩემპიონატზე. ეს, უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია, როგორც საქართველოს სპორტული სუვერენიტეტისაკენ მიმავალ გზაზე გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. მადლობის ღირსია ყველა, ვინც ამისთვის დრო და ენერგია არ დაეშურა. რაც შეეხება ქართველი კარატისტების მიღწევებს საკავშირო მასშტაბით, ამის თაობაზე „ლელოს“ მკითხველები საკმარისად ინფორმირებულნი არიან.

ამიტომ დღეს, ალბათ, სასურველი და აუცილებელიცაა გავიხსენოთ ადამიანი, რომელსაც პირადად მე ქართული კარატეს ფუძემდებლად ვთვლი.

ეს არის ბუნ ლაპ ჩანთხავისუკი — ჩვენი ლაოსელი მასწავლებელი, რომლის ამაგი, ჩემი აზრით, მართლაც ფასდაუდებელია. 70-იან წლებში მისი მოწაფე ან მიმდევარი იყო დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა ქართველი კარატისტი თუ უშუისტი. პირადად მე ურთიერთობა მქონია ბევრ აღმოსავლელ დიდოსტატთან — იაპონელ სატოსთან, ჩინელ სუნთან, ვიეტნამელ ზონგთან, ახლა კი მოწაფე ვარ ტაი-ცი ციუანის დიდოსტატების, ცოლქმარ ტოიო და პეტრა კობაიშებისა და მაინც, მხოლოდ ჩემი პირველი მასწავლებლისგან შეძენილ ცოდნას ვუმადლი იმას, რომ მგონი ღირსეულად დავიმახსოვრე ოსტატის სახელი.

ტერმინი „მასწავლებელი“ შემთხვევით არ მიხმარია. ბუნ ლაპ ჩანთხავისუკი მართლაც მასწავლებელი იყო და არა მწვრთნელი — მან გვაზიარა არა მარტო კარატეს ტე-

იხ. მე.4 გვ

ინფორმაცია

## ფინალში — მარტო კუბელები

**ჰავანაში** გამართულ მოკრივეთა მსოფლიო თასის გათამაშების ორთაბრძოლებში მასპინძლებმა თითოეულ წონით კატეგორიაში გამოიყვანეს ორ-ორი მონაწილე, რომლებმაც ბრწყინვალედ განვლეს ასპარეზობის წინა ეტაპი და უდანაკარგოდ მივიდნენ გადამწყვეტ შეხვედრებამდე — ფინალამდე. საგულისხმოა, რომ თავისუფლების კუნძულზე უძლიერესის სახელი თამაშდება ქვემსუბუქ, პირველ ქვესაშუალო, მეორე საშუალო და ქვემძიმე წონით კატეგორიებში.

# კატეგორია-უმაღლესი!

(დასასრული)

რესი ძიუდოისტი კობა კურტანიძისა და გია თენაძის გარდა. ორივეს ევროპის ჩემპიონატში გამოსვლა ელით და უნდა გავითვალისწინოთ მათი ასაკი, წონის ხშირად კლების არასასურველი ფაქტორი. სამაგიეროდ, იჭიდავებენ ამირან ტოტიკაშვილი, გურამ მოდებაძე, აკაკი კიბორძალიძე, დავით ხახალეიშვილი, ვალერი პარუნაშვილი... მართალია, დგებუაძე, დაბრუნდაშვილი და საკაშვილი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადებიან, მაგრამ ვეცდებით, რომ ტურნირში ისინიც გამოვიდნენ. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრებს, მის შემადგენლობაში 60-მდე სპორტსმენი იქნება.

**● როგორ მოემზადა ჩვენი გუნდი შეჯიბრებისთვის?**

— ბევრი ჩვენი მოჭიდავე მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება, თან ინვარში საკავშირო ჩემპიონატიც ჩატარდა და ბიჭები ცოტა გადაიღლნენ. ბოლო საწვრთნელი შეკრებაც ამის გათვალისწინებით ჩავატარეთ. ყველანი კარგად არიან.

**● ძიუდოისტთა ტურნირის შემდეგ ქართული ჭიდაობის ღია ტურნირი უნდა გაიმართოს. გამოვლენ თუ არა ამ შეჯიბრებაში უცხოელი მოჭიდავეები?**

— ვეცდებით, რომ ყველა უცხოელმა ძიუდოისტმა ჩოხაშიც იჭიდაოს. საპრიზო თანხა აქ ორჯერ მეტია, მაგალითად, გამარჯვებული 1000 მანეთს მიიღებს. უცხოელებს კარგა ხანია დავუგზავნეთ ბარათები, მათ გადაწყვეტილებას კი აქ თბილისში შევიტყობთ. პრიზების დაწესებაში კარგად გაგვიმართეს ხელი სპონსორებმა, მაგალითად, ლიმონათის ქარხანამ.

**● ქართულ ჭიდაობაში მხოლოდ ძიუდოისტები გამოვლენ?**

— დიახ, მხოლოდ ძიუდოისტები. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ყველა მონაწილე თანაბარ მდგომარეობაში იყოს. წინაალმდეგ შემთხვევაში ტურნირზე დაღლილი ძიუდოისტები დასვენებულ მეტოქეებს შეხვდებოდნენ. ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება რამდენიმე წონით კატეგორიაში გაიმართება.

**● თუ არის რაიმე სიახლე ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნის საქმეში?**

— მე თვითონ ვმონაწილეობდი ამის თაობაზე იაპონელებთან მოლაპარაკებაში. პირდაპირ გვითხრეს, ამას რომ მიაღწოთ, თითოეულ კონტინენტზე სამ-სამი ქვეყანა მაინც უნდა დაითანხმოთ, სადაც ქართული ჭიდაობა მეტ-ნაკლებად იქნება დანერგილიო. ორ-სამ ქვეყანას ჩვენს თავზე ვიღებთ, მაგრამ მთავარი საქმე თქვენ თვითონ უნდა გააკეთოთო. მოკლედ, წინ ძალიან ბევრი და ძნელი საქმე გველის.

ბოლოს კი მინდა მივმართო ჩვენს გულშემატკივრებს. ჩვენ რომ სტუმრებს თბილისიდან კმაყოფილებს ვისტუმრებთ, ამაში მაყურებელთა დიდი დამსახურებაც არის. დიდი იმედი მაქვს ახლაც ასე იქნება.

**ეხაუბრა ბ. ბიორგი პავლიაშვილი.**





# არ ბერდება კეთილი გული...

**სოფელ** სტეფანწმინდასთან ახლოს, დარიალში, იქ, სადაც ძაუგისაკენ მიმავალ შარაგზას ხდის ხეობისაკენ მიმავალი ბილიკი უერთდება, თბილისის ალპინიადა იყო დაბანაკებული... ალპინიადას სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე დიმიტრი ობოლაძე ხელმძღვანელობდა.

...როცა ფიქალებით ჩახერგილი ვიწროებით მდინარე ქისტინკის სათავეებს ავუყვეთ, წინ წაგვიძღვა. აღმართში დინჯად, თავწაზრით მიდიოდა... კვალში მივყვებოდი და ვბაძავდი. ცოტაც და ჰორიზონტთან ჩამწკრივებული დაკბილული ქედი გამოჩნდა... ბილიკმა ოდნავ გადავაკა. ჩვენი წინამძღოლი ახლა უკვე ჩერდებოდა, ხან მწვერვალ შინოს მისადგომებისაკენ გაიშვერდა ხელს და დუგებივით აღმართულ მწვერვალთა სახელებს გვაცნობდა, ხან წითლად მოჭიატე ფერდობისკენ მიგვახედებდა, ხან მყინვარებიდან „გამოქცეული“ ხდისწყლისკენ, ქათქათა შხეფებს რომ ისროდა. ზოგჯერ კლდის ნიღრიდან წერაყინით ქვას ჩამოთლიდა, ვეება ხელის მტევნებით წახნაგებს გადაუსუფთავებდა და დიდხანს, დიდხანს დასცქეროდა. ზოგ ადგილას, მაკვარანცხ ბილიკზე, ფიქალებით კოშკურებივით სანიშნებლებიც ააშენა. აქაო და ღამის წყვდიადში მგზავრს სავალი გაუადვილდებაო.

...ყუროს ნაბინავრებზე მთის ბროლიც მოიპოვა, მოწიწებით ხელისგულზე დამიდო და დააკვირდიო, მითხრა. გამჭვირვალე ბროლი უცნაურად ლაპლაპებდა მზეზე, „მითხარით, რას ხედავთ და გეტყვით, რა გასულდგმულებთ“ — სწორედ ასეა. ჰოდა, თურმე სულ უბრალო საგანსაც კი უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ვფიქრობთ და ვითვალისწინებთ. ალბათ ისევ ის ნაწერაქვალი ქვები ქუხს და ხმიანობს ჩემს შემეცნებაში, რადგან სწორედ ის პირველი შთაბეჭდილებები ამოიტვიფრა აგრერიგად მეხსიერებაში, გულს ხომ ეტყობა იმ დღეების სითბო, ესეც ნუგეშია ერთგვარი.

შეუმჩნევლად აგვიღებინა დიმიტრი ობოლაძემ, ძია მიტომ, ქვანაყარი ფერდი, თოვლიანი კულუარი და ბოლოს, მწვერვალიც... იგი თითქოს სიკეთედ დაგვებედა, რადგან მთლიანად მისი ღვაწლი იყო, რომ ყველა ახალბედამ შეძლო შეგვებიჯებინა უკიდეგანო, შეუცნობელ, უმშვენიერეს მწვერვალთა სამყაროში. მეტიც, ძია მიტო რომ არა, ძნელი იქნებოდა იმის გაცნობიერებაც კი, თუ რა ბედნიერები ვიყავით ალპინიადის დღეებში.

ბევრი გამეგო მასზე, როგორც გეოგრაფზე — სპელეოლოგზე. ისიც ვიცოდი, რა დიდი შრომა ჰქონდა ჩადებული ხვამლის, ორხვის, ტვიშის, თრეხვისა და სხვა გამოქვაბულების კვლევაში... ჯერ კიდევ სტუდენტური პრაქტიკის დროს შემდგომში ცნობილ მთამსვლელ ლევან მარუაშვილთან ერთად ფეხით გაიარა მარშრუტი ბაკურიანიდან ტაბაწყურამდე, ავიდა მწვერვალ სამსარზე, სტუდენტური პრაქტიკის შემდეგ ორივემ შეადგინა ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რუკა. სწორედ მწვერვალ სამსარზე იერიშის დროს უწინასწარმეტყველა თურმე ლევან მარუაშვილმა, შენგან კარგი მთამსვლელი დადგებაო. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ გამართლდა ეს წინასწარმეტყველება... ვინ შოთვლის, რამდენჯერ უზეიმია დიმიტრი ობოლაძეს გამარჯვება მაღალ მწვერვალებთან ჭიდილში. ძნელი იყო ღარმოს ურთულესი კვანძის დაძლევა და ასვლა ექვსიათასიან მწვერვალებზე — როსიასა და მოსკოვის პიკზე, უკიდეგანო პამირის მთიანეთში; ასვლები დასავლეთ შხარაზე სამხრეთ-დასავლეთი კედლით, მისი ხელმძღვანელობით; კვლავ მისი ხელმძღვანელობით მაზერ-უშბა-შხელდის და სვეტლარის, დალაყორის, შხელდის, დიხთაუ-მიეირგისა და შავანის ქედის ტრავერსები; მასობრივი სპორტულ-საკვალიფიკაციო ასვლები ცენტრალური კავკასიონის ხალდე-ბაზინგის კედლის ტექნიკურად რთული მწვერვალებზე. ამ ქართული ალპინიზმის მოპირნაჯულ კაცს, ხშირად პირადი წარმატებები არ ახარებს. ახალგაზრდა მთამსვლელი მოამზადა, აზიარა ამ სახეობას.

ორმოცდაათიან წლებში, ულამაზეს ნაკრის ხეობაში მუშაობა დაიწყო მთამსვლელთა ქართულმა ბანაკმა „ნაკრამ“, რომელის უფროსადაც დიმიტრი ობოლაძე დაინიშნა. მომდევნო წლებში იგი ხელმძღვანელობდა ლენტეხის რაიონში მოწყობილ ბანაკ „აილამას“.

„...ბუნება თავისთავად ცარიელია და საშინელი, მხოლოდ ხალხი ქმნის მას ქვეყნად, სამშობლოდ“ — უეჭველად დიმიტრი ობოლაძის მსგავს ადამიანებზეა ნათქვამი.

...არ იფიქროთ, პირადი საზრუნავი აკლდეს ორი შვილის მამასა და შესანიშნავ მეუღლეს. მისი ვაჟი, მერაბი, ფიზიკოსია, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ქალაშვილი მარიკა, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელია, გერმანოლოგი. ხუთი შვილიშვილი კიდევ უფრო ავსებს, კიდევ უფრო საამაყოს ხდის მის ცხოვრებას.

...ასობით მთამსვლელი აღუზრდიამეთქი ძია მიტოს რომ ვთქვი, ახლა ცოტას დავუმატებ ამ ნათქვამს. „აღზრდაში“ მხოლოდ მთამსვლელად კურთხევა და ალპინისტური მარშრუტების შერჩევა-დამუშავება არ იგულისხმება. ძია მიტომ მთა და მთამსვლელობაც შეგვაყვარა და წინამძღოლისა თუ მწვრთნელის მაღალი პოზიციიდან განადიდა, თავმოსაწონებელი გახადა ცნება „აღზრდელი“, მეტიც — გვაგრძნობინა სიდიდე, სიმაგრე, მადლი მამა-შვილური სიყვარულისა...

ამ მადლის შემწეობით ჯანსაღი და ხანგრძლივი სიცოცხლე ყოფილიყოს მისი წილხვედრი.

75 წლის ვეტერანი მთამსვლელი დღესაც გატაცებით ემსახურება ქართულ ალპინიზმს. მისი ხელმძღვანელობით დარიალის ხეობაში შენდება კეთილმოწყობილი ბაზა ქართველ მთამსვლელთათვის.

**ლილი ბმარჯალაძე.**

# რატომ გადაიტანეს ჩემპიონატი?

**როგორც** შარშან გამოცხადდა, 1990 წლის დეკემბერში თბილისში უნდა ჩატარებულიყო სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. ეს იქნებოდა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოში. დღემდე თბილისში გაიმართა მხოლოდ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, ისიც ახალგაზრდებს შორის და კიდევ — სტუდენტ ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობა.

და აი, გაზეთ „პრავდის“ 14 თებერვლის ნომერში წავიკითხე განცხადება, რომ მაისში ვენესუელის დედაქალაქში გაიმართება მსოფლიო თასის გათამაშება სამბოში, ხოლო 5-12 დეკემბერს მოსკოვში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი.

საქართველოს სამბოშიც ჰყავს გამოჩენილი სპორტსმენები, მსოფლიო ჩემპიონები: გ. გიორგაძე, ლ. თედიაშვილი; ი. შაღალაშვილი, ს. ტერნოვიხი, ჯ. მჭედლიშვილი, მსოფლიო თასის მფლობელები ი. როსტიაშვილი, ნ. მალვენიშვილი და სხვა სახელოვანი მოჭიდავეები. მსოფლიო პირველობის ჩატარება საქართველოს დედაქალაქში ხელს შეუწყობდა ჩვენში სამბოს შემდგომ პოპულარიზაციას.

მე, როგორც ყოფილ სამბისტს, წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების წევრს, მაქვს ერთი თხოვნა: იქნებ გვითხრათ სპორტის მოყვარულებს, რა მიზეზით გადაიტანეს დასახელებული შეჯიბრებები თბილისიდან მოსკოვში.

**პატივისცემით, თენგიზ არაბული,**
**ხაქენერგოს უფროსი ინჟინერი, სპორტის ოსტატი სამბოში.**

ვასრულებთ პატივცემული თ. არაბულის თხოვნას. ვინც დასახელებული მსოფლიო ჩემპიონატის მოსკოვში გადატანის ამბავს შეიტყობს (ან უკვე შეიტყო), ალბათ ერთგვარი ეჭვი გაუჩნდება საკავშირო სპორტსახკომის მიმართ (ასეთი ეჭვის საბაბი, თანაც საფუძვლიანი, ვინ იცის, რამდენჯერ გვქონია. მაგრამ აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ამჯერად „ცენტრი“ არაფერ შუაშია, თვითონ მასპინძლებმა თქვეს უარი მსოფლიო ჩემპიონატის თბილისში ჩატარებაზე.

ერთი შეხედვით, უცნაური გადაწყვეტილება — „ხელიდან გაუშვა“ ასეთი რანგის ტურნირის მასპინძლობის შანსი, მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ წერილის ავტორი ბრძანებს, ჩვენთან, საქართველოში, „ნამდვილი“ მსოფლიო ჩემპიონატი ჯერ არ ჩატარებულა, რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭადრაკს.

უარი რამდენიმე მოტივითაა განპირობებული. ჯერ ერთი, ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო სამბოში, რომლის წარმოშობის ისტორია ყველამ იცის. ისიც ყველასთვის ცნობილია, რომ სამბო, ობიექტური შეფასებით, ადრე თუ გვიან ქართული ჭიდაობის მეტოქე უნდა გახდეს საერთაშორისო სარბიელზე. ძიუდოზე ან თავისუფალ ჭიდაობაზე ალბათ არ იტყოდნენ მასპინძლები უარს. აქ კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ მკითხველს, როგორ „გვარიდებდნენ“ ენიშვნელოვან ტურნირებს ამ და სხვა ოლიმპიურ სახეობებში, მაგალითად, 1962 წლიდან მოყოლებული, მთელი 25 წლის მანძილზე, საქართველოში — შესანიშნავი მოჭიდავეებით განთქმულ რესპუბლიკაში — ერთი რა არის, ერთი საკავშირო ჩემპიონატიც კი არ ჩატარებულა არც თავისუფალ, არც კლასიკურ ჭიდაობაში.

ამას გარდა, გასათვალისწინებელი იყო შემდეგიც: ქართველი მოჭიდავე, ანდა მოჭიდავეები, თითქმის უეჭველად მოხვდებოდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში და თბილისში ამ კოლექტივის სახელით ისპარეზებდნენ. მათი გამოსვლა წითელი დროშით, გამარჯვების შემთხვევაში კი დაჯილდოება „ურღვევი კავშირის“ ჰანგზე, დაგვეთანხმებით, იოლი საყურებელი არ იქნებოდა ჩვენი გულშემატკივრებისთვის, მით უმეტეს, ახლანდელ დროში, როცა, როგორც იქნა, ყოველივე ეროვნულს საკადრის პატივს მივაგებთ.

ასე რომ, აღნიშნული გარემოებანი გაანახევრებდა კი არა, ალბათ გაამეასეედებდა პირველი ჩემპიონატითა და ჩვენი ფალავნის (ან ფალავნების) შესაძლო გამარჯვებებით მოგვრილ სიხარულს.

პირველი ჭაშნიკი, პირველი სიხარული არ უნდა დახურდავდეს. ჩვენ, იმედია, გვეყოფა მოთმინება, რომ დაველოდოთ სხვა მსოფლიო ჩემპიონატებს.

# ყველას სენაკელებმა აჯობეს

**სამტრედიის** საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა ტრადიციული რესპუბლიკური ფესტივალი, რომელსაც 1971 წელს ჩაეყარა საფუძველი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 34 გუნდის 136 მოჭადრაკე. თითოეული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა 3 ჭაბუკი და ერთი გოგონა. ასპარეზობა ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად.

28 შესაძლებლიდან 22 ქულით ყველას სენაკის პირველი ნაკრები გუნდის წარმომადგენლებმა აჯობეს, 20 ქულით II დგილი დაიკავა გორის ნაკრებმა, 18-18 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს ფოთის, სამტრედიისა და აფხაზეთის გუნდებმა. უკეთესი კოეფიციენტით III ადგილი ფოთის ნაკრებს მიეკუთვნა.

**იორამ ნიკოლეიშვილი,**
**„ლელოს“ კორ.**

# პირველად ტყიბულში

**ხულ** უფრო პოპულარული ხდება მინიფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში. სარაიონო თუ ქალაქის პირველობები, რესპუბლიკური, საკავშირო, საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც ჩვენთან იმართება, მრავლად იკრებს ამ ლამაზი სანახაობის ტრფიალთ. მარტო ჩვენმა დედაქალაქმა ამ ბოლო დროს არაერთ საინტერესო ტურნირს უმასპინძლა და სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებებში ფავორიტებად ჩვენი რესპუბლიკის გუნდები გვევლინებიან, რაც საქართველოში ამ სახეობის პოპულარობაზე მეტყველებს. და აი, კიდევ ერთი რესპუბლიკური გათამაშება პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თაოსნობით. მეშახტეთა ქალაქი ტყიბული პირველად მასპინძლობს ქალთა ტურნირს, რომელიც 8 მარტის დღესასწაულს ეძღვნება. უკვე შედგა პირველი ტურის შეხვედრები: ჭიათურა-I — გორი 1:0, მაიაკოვსკი — ჭიათურა-II 5:1. საინტერესო ასპარეზობა 26 თებერვლამდე გასტანს.

**„ლელოს“ კორ.**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

# პოპულარობა იზრდება

**სასიხარულოა,** რომ ქართულ ჭიდაობაში გამართული ტურნირები უფრო და უფრო მეტ მონაწილეს იკრებს. ზესტაფონის სახალხო განათლების განყოფილების სპორტსკოლის დარბაზში, სადაც რესპუბლიკური ზონალური პირადი პირველობა გაიმართა მოსწავლეთა შორის, 19 გუნდმა იასპარეზა. ესენი იყვნენ ახალციხის, ტყიბულის, თერჯოლის, ცაგერის, ოზურგეთის, ხაშურის, გორის, მესტიის, ლენტეხის, ხარაგაულის, ონის, ამბროლაურის, ქარელის, საჩხერის, ჭიათურის, ვანის, წყალტუბოს, ქუთაისისა და ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, როგორც ხედავთ, უჩვეულოდ იაქტიურეს დასავლეთ საქართველოს ქართული ჭიდაობის მოყვარულებმა.

წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრებაში უძლიერესნი იყვნენ: **49 კგ.** მ. ტატუნაშვილი (გორი); **52 კგ.** მ. გოშხეთელიანი (ვანი); **56 კგ.** დ. ნიგურიანი (მესტია); **60 კგ.** გ. ოქროპირიძე (გორი); **64 კგ.** მ. შუბითიძე (ქარელი); **68 კგ.** თ. თურმანიძე; **73 კგ.** ლ. პეტრიაშვილი (ორივე — გორი), **79 კგ.** მ. ხარებაშვილი (ბარელი); **მძიმე წონა.** ი. ახალბედაშვილი (გორი).

# ულოცავენ, წარმატებას უსურვებენ!

**საქართველოს** დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნამ და დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საქართველოში. ქართული ფეხბურთის კეთილმოსურნენი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და ქალაქებიდან აგზავნიან მისალმებებს, ჩვენს ახლად შექმნილ ორგანიზაციას ულოცავენ დამოუკიდებლობას, ხოლო საქართველოს ჩემპიონატს, რომელშიც რესპუბლიკის ყველა ოსტატთა გუნდი ჰიიღებს მონაწილეობას, წარმატებას უსურვებენ.

გთავაზობთ რამდენიმე მისალმებას:

„მოგილოცავთ საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნას და გაბედულ გადწყვეტილებას საკუთარივ უხელმძღვანელოთ თქვენივე საფეხბურთო ცხოვრებას. იმედი გვაქვს ახლო კონტაქტებს დავამყარებთ ჩვენს კავშირებს შორის, გავმართავთ საკლუბო და ნაკრები გუნდების მატჩებს“.

**ედგარ სავისაარი,**
**ესტონეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი.**

„ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი მხარს უჭერს დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნას და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გამართვას. ჩვენი კოლექტივი მზადაა მორალური და მატერიალური მხარდაჭერისათვის“.

**ე. ქემერტელიძე, დ. ტურაბელიძე, ი. თაბაგარი.**

„მთელი კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩამოყალიბებას და გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებლად ჩავატაროთ ეროვნული ჩემპიონატი.

**თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველო, 22 ხელმოწერა.**

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებამ განიხილა რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის კრების გადაწყვეტილება, ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთსულოვანი აზრით ეს წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ფეხბურთის დონის ამაღლებისთვის.“

**ს. დოლიძე, დ. ეძვთიმიშვილი.**

„საქართველოს საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები მივესალმებით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის რეზოლუციას, ვუსურვებთ წარმატებას ეროვნულ ჩემპიონატს“.

**22 ხელმოწერა.**

„თბილისის თბომეურნეობის სამართველოს გულშემატკივრები აღფრთოვანებით შეხვდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შექმნას, უდიდესი ეროვნული საქმის წამოწყებას, გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს“!

**36 ხელმოწერა.**

„საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის თანამშრომლები მივესალმებით დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას და იმ პატრიოტ ადამიანებს, რომლებმაც გადაწყვეტეს დამოუკიდებელი გზით იარონ ქართული ფეხბურთის წარმატებათა გზაზე“.

**183 ხელმოწერა.**

„მივესალმებით საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის შექმნას და ეროვნულ ჩემპიონატს, ვიმედოვნებთ, რომ არც ერთი პერსპექტიული ფეხბურთელი არ დარჩება უყურადღებოდ“.

**83 ხელმოწერა.**

„თქვენი გაზეთის მეშვეობით ვუ ულოცავთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დამოუკიდებლობას და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას“.

**თბილისის ფეხბურთელ გოგონათა გუნდი „ივერია“.**

„საწარმოო გაერთიანება „საქთევზმრეწვის“ შორეული ნაოსნობის ტრაულერ „ბათუმის“ ეკიპაჟი ულოცავს ქართველ გულშემატკივრებს დამოუკიდებელი ფედერაციის შექმნას და ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას“.

**თენგიზ ბახბავა,**
**ტრაულერ „ბათუმის“ კაპიტან-დირექტორი.**

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის თანამშრომლები მივესალმებიან საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ჩამოყალიბებას, რომელიც იხელმძღვანელებს, მხოლოდ ეროვნული ინტერესებით და ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას.

მიუღებლად მიგვაჩნია საქართველოს ეროვნული საკლუბო გუნდების საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება 1990 წელს და შემდგომ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვუცხადებთ ბოიკოტს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს“.

**ფერილს ხელს აწერს 27 თანამშრომელი.**

„გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის საშუალო სკოლის კოლექტივი წარმატებას უსურვებს ახალ საქმიანობაში ფეხბურთის ფედერაციასაც და ეროვნულ ჩემპიონატსაც. ახლა უნდა ვიზრუნოთ ახალი საფეხბურთო ქართული ჰიმნის შექმნისათვის“.

**სკოლის დირექტორი ლოლაძე.**

**მისალმებები** გამოგვიგზავნეს აგრეთვე, წყალტუბოს ცენტრალური საავადმყოფოს, ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის, გურჯაანის რაიკოოპკავშირის, ჭიათურის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს კოლექტივებმა, ეროვნული დამოუკიდებლობის მე-4 დასმა ახალციხიდან.

უამრავი მილოცვაა ცალკეულ პიროვნებათა მხრივ. ასეთთა შორის არიან: მ. მუმლაძე (რუსთავი), ჯ. ბაზერაშვილი, ვ. ნიკოლაშვილი, გ. გამყრელიძე, თ. ბიბილური, შ. ჩართოლანი, თ. ვეფხვაძე, ზ. რუხაძე (თბილისი), ბ. გელიტაშვილი, ა. ნადირაშვილი, კ. ლაბარტყავა, გ. ნიკოლაშვილი, ო. გვასალია, თ. ძიძიგური (სოხუმი) და მრავალი, მრავალი სხვა.

რა თქმა უნდა, „არის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, ასეთებიც გვწერენ თავიანთ შეხედულებებს, სიფრთხილეს იჩენენ ნაადრევი გადწყვეტილების გამო, მაგრამ ეროვნული ფედერაციის შექმნისა და საქართველოს დამოუკიდებელი ჩემპიონატის გამართვის მომხრეთა რაოდენობა გაცილებით უფრო მეტია. საფეხბურთო საქართველო ეროვნულ განწყობილებასა და მიღებულ გადწყვეტილებათა თავგამოდებული მომხრეა!

## განა ეს სადავოა?

**საქართველოს** ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭო თავს მოვალედ თვლის შემდეგი განაცხადოს:

ფეხბურთს, რომელიც ლამის ეროვნულ სპორტად ვაქციეთ, საქართველოშე დღემდე ნამდვილი პატრონი არ ჰყავდა. ხალხს ამ საყვარელ სპორტს ისეთი მზრუნველი რომ გამოსჩენოდა, როგორც თავის დროზე ქალთა ჭადრაკს, ძიუდოს ან ჭეშმარიტი მამულიშვილებით დაკომპლექტებულ ქუთაისს მორაგბეთა გუნდს, მაშინ საქმე ფეხბურთში კრიზისამდე არ მივიდოდა. ეს მოზდა იმიტომაც, რომ არ ვუფრთხილდებოდით ნიჭიერ სპეციალისტებს, საფეხბურთო მაფიას ფაქტობრივად წინ ვერავინ აღუდგა.

ჩვენთვის გაუგებარია საკავშირო ინფორმაციის საშუალებების მუქარა და მკაცრი ტონი, რისი ცოდნითაც ისინი თავს გვაწონებენ, ჩვენ კარგა ხანია ვიცით, და ჭკუის დარიგებით ამაოდ ირჯებიან. რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნისა არ იყოს, ჩვენ ამაშიც წაგვბაძავენ. ალბათ შორს არაა ის დრო, როცა ეროვნული დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციები სხვაგანაც შეიქმნება.

საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭო მიესალმება საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ფედერაციის შექმნას და დამოუკიდებელ საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებას.

**ზურაბ ჯანიაშვილი,**
**საქართველოს ეროვნული კონსტიტუციური ალიანსის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე.**

## საქართველოს ექიმთა ასოციაციის განცხადება

**საქართველოს** ექიმთა ასოციაცია მიესალმება და მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს, მათ შორის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადწყვეტილებას, რომ საქართველოს ფეხბურთელებმა 1990 წლიდან არ მიიღონ მონაწილეობა საკავშირო ჩემპიონატში.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა აცხადებს, რომ იგი ყოველთვის გაუწევს მორალურ თუ ეკონომიკურ მხარდაჭერას ყველა იმ ექიმს, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოს ფეხბურთის გუნდებთან.

**საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა.**

## სოხუმელი ფეხბურთელები თურქეთში

**სოხუმის** „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი სულ ახლახან ერთი კვირა იმყოფებოდა თურქეთში.

საინტერესო იყო დინამოელთა ამხანაგური შეხვედრა ქ. ანკარის კლუბ „ანკარაგიუჯიუსთან“, რომელიც დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით — 9:3. სოხუმელთაგან 4 ბურთი გაიტანა გოგრიჭიანმა, 3—ხაგბამ, თითოც — ჩალიგავამ და ენიკმა.

ეს მგზავრობა ორგანიზებული იყო საგარეო ეკონომიკური გაერთიანება „საქმიმპექსის“ მიერ. პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ანკარის „ანკარაგიუჯიუსა“ და სოხუმის „დინამოს“ შორის კონტაქტების განსამტკიცებლად. ამ ალიანსში მონაწილეობას მიიღებს თურქეთის კლუბის სპონსორი ფირმა „ნუროლი“.

**ახალი შირეა „იუვენტუსში“**

იტალიის საფეხბურთო კლუბ „იუვენტუსის“ ყოფილი კაპიტნის გაეტანო შირეას ავტოკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ყმაწვილთა გუნდში თამაში დაიწყო მისმა ვაჟმა, 12 წლის რიკარდომ. ყმაწვილი ძალიან ნიჭიერია და „იუვენტუსის“ ხელმძღვანელების აზრით, მისგან კარგი ოსტატი დადგება.

**იტალიური „კალჩიოს“ სნაიპერები**

მოგვყავს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის სნაიპერთა მდგომარეობა (გათვალისწინებულია 23 ტურის შედეგები).

14 გოლით _ პირველ ადგილზეა მარკო ვან ბასტენი („მილანი“), აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან გამოტოვა რომდენიმე მატჩი. 12-12 ბურთით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ სალვატორე შილაჩი („იუვენტუსი“) და რობერტო ბაჯიო („ფიორენტინა“), 10-10 გოლი გაიტანეს აბელ დეზოტიმ („კრემონეზე“), რობერტო მანჩინიმ (გენუის „სამპდორია“) და დიეგო მარადონამ („ნაპოლი“), 9-9 გოლი — იურგენ კლინსმანმა („ინტერი“) და მასიმო აგოსტინიმ („ბოზენა“), 8-8 გატანილი ბურთის ავტორები არიან ჯანლუკა ვიალი („სამპდორია“), სტეფანო დეზიდერი („რომა“), აბელ ბალბო („უდინეზე“), ლოთარ მათეუსი („ინტერი“) და კარლოს აგილერა („ჯენოვა“).

# სამთომოთხილამურენიც გამოვიდნენ სტარტზე

**ზამთრის VII საკავშირო სპარტაკიადა**

**რამდენჯერმე** გადაიდო სასპორტაციადო შეჯიბრება სამთო-სათხილამურო სპორტში. სლავსკოეს ტრასებზე თოვლი სწრაფად დნება, მაგრამ წინა ღამით ყინვამ ისე „მოუჭირა“, რომ ფაფუკი თეთრი საფარი აქა-იქ ყინულადაც კი იქცა, ამან შეჯიბრების ორგანიზატორებს საშუალება მისცა სამთომოთხილამურენიც გამოეყვანათ სტარტზე.

გიგანტური სლალომის 900-მეტრიან ტრასაზე 35 კარი განალაგეს. 50 ქალი ჩაება ასპარეზობაში, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, 17 წლის ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი სოფიკო პეტროსიანიც („დინამო“).

პირველ სტარტზე მას ურიგოდ არ უასპარეზია. 47,89 წამში გაიარა ტრასა, რაც მხოლოდ 1,8 წამით უარესი იყო მეორე პრიზიორის დროსთან. აი, მეორე ტრასა ჩვენმა სპორტსმენმა ბევრად უარესი შედეგით დაასრულა — 51,13. ამრიგად, ორი ცდის ჯამში მან 1.39,02 აჩვენა და 25-ე ადგილზე გავიდა. ჩემპიონობა ამ სახეობაში გამოცდილმა ლვოველშა მოთხილამურემ ოლგა ლოგინოვამ მოიპოვა — 1.30,27. პარალელურად ქვეყნის ჩეპიონატიც თამაშდებოდა. ს. პეტროსიანი აქ 28-ე იყო.

— ცხადია, ქალთა შეჯიბრებიდან მეტს არ მოველოდით, — გვითხრა საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა გეორგა აბრამიშვილმა. აი, ვაჟებისაგან კი გაცილებით მეტს მოვითხოვთ. სპარტაკიადისთვის კარგად ვემზადებოდით და სასიხარულოა, რომ ჩვენი გუნდის ახალგაზრდა წევრები— მესტიელი მალხაზ უდესიანი, ბაკურიანელი ლევან აბრამიშვილი და ვანელი მამუკა დვალიშვილი საკმაოდ გულმოდგინედ ემზადებოდნენ ამ სასპასუხისმგებლო სტარტებისთვის. ვფიქრობთ, რომ ისინი მხარს აუბამენ ჩვენი გუნდის ლიდერებს— გია ორჯონიკიძესა და ისმაილ ჯაჩკაროვს. ესაა, რომ თოვლის საფარი საგრძნობლად შეთხელდა.

ტისოვეცის 70-მეტრიანი ტრამპლინი კვლავ მასპინძლობდა „მფრინავან მოთხილამურეებს“, რომლებმაც ამჯერად გუნდური პირველობა გაითამაშეს. სტარტზე 12 კოლექტივი გამოვიდა. თავიდანვე გეტყვით, რომ საქართველოს მხტომელებმა მე-10 შედეგი აჩვენეს და წინა დღეს IX ადგილისათვის მიღებულ 19 ქულას კიდევ 32 დაუმატეს. ამრიგად, 90-მეტრიან ტრამპლინზე შეჯიბრების წინ ჩვენს ნაკრებს 51 ქულა აქვს და 10 ქულით ჩამორჩება მოსკოველ მხტომელებს. ასპარეზობას კვლავ ლიდერობს ყაზახეთის გუნდი, ამასთან, მეტად დამაჯერებლად — 186 ქულა. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესოა საქართველოს მხტომელთა მეორე დღის ასპარეზობის ცალკეული შედეგები. თითქმის ისეთივე სიტუაცია განმეორდა, როგორც წინა დღეს — მეორე ცდაზე ისინი ბევრად უარესად გადახტნენ. მხოლოდ კახა წაქაძემ „იფრინა“ ორივე ნახტომში 81 მეტრზე და 199,3 ქულა მოაგროვა. ელგუჯა ორჯონიკიძის შედეგია 175,9 (ნახტომები — 77 და 75,5), ვალერი მინასიანისა —155,5 (72,5 და 70,5), ალან თიბილოვისა — 140,9 (68 და 57). აქვე დავძენთ, რომ თითოეული გუნდის ჩათვლაში სამი საუკეთესო მხტომელის შედეგი შეიდოდა.

**ოთარ ნოზაძე**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**
**(ტელეფონით).**

სკოლე—ტისოვეცი.

# ტურნირი დღეს დამთავრდება



**კალათბურთის** ბევრ გულშემატკივარს კარგად ახსოვთ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გერონტი ბაბახანიდი... მისი სახელობის პირველი ტურნირი დაიწყო კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლის დარბაზში, სადაც ასპარეზობენ ბაქოს, სტავროპოლის, პიატიგორსკისა და თბილისის გოგონათა გუნდები (1974-1975 წლებში დაბადებულები). მათ გარდა ტურნირში თბილისელთა კიდევ ორი გუნდი მონაწილეობს (1976-1977 წლებში დაბადებულნი). ტურნირის პირველ დღეს პიატიგორსკის გუნდმა სძლია ბაქოელ თანატოლებს — 50:36, „მართვე-II“ დამარცხდა სტავროპოლის გუნდთან — 30:52, ხოლო „მართვეს“ პირველმა გუნდმა იოლად მოუგო „მართვე-III“ — 65:18. მეორე დღის მატჩების შედეგებია: ბაქო — „მართვე-II“ — 41:17; სტავროპოლი— „მართვე-III“ — 41:17, „მართვე-I“ — პიატიგორსკი 33:28. მესამე დღე: სტავროპოლი — ბაქო 55:44; „მართვე-I“ — „მართვე-II“ 75:43.

ტურნირი დღეს დამთავრდება. დღეს შეხვედრები გაიმართება მ. კეკელიძის სახელობის 58-ე ზოგადსაგანმანათლებლო საკალათბურთო სკოლის დარბაზში.

# კარატე თუ კარატე-დო?

(დასასრული)

ქნიკას, არამედ აღმოსავლურ კულტურას, რომლის განუყოფელ ნაწილადაც თვლიდა საბრძოლო ხელოვნებას, ფილოსოფიასა და რელიგიის საფუძვლებს, ტრადიციებს, ეთიკას, — ყველაფერ იმას, რაც სპორტს ხელოვნებად აქცევს, უბრალო-სპორტსმენს კი — რაინდად. ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას კარატე-დოს ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს.

უაღრესად მნიშვნელოვანია „სწორი ცხოვრებით ცხოვრება“, ე. ი. ცხოვრება ბუნებასთან ჰარმონიაში, როცა პიროვნების აქტიური და პასიური არსი გაწონასწორებულია. მხოლოდ ამ შემთხვევაში იბადება უძლეველობა.

ამ პრინციპზეა აგებული კარატეს სავარჯიშო კომპლექსები — „კატა“, რომლის შესრულებისას შეგირდი უნდა ჩასწვდეს მოძრაობათა ჰარმონიას, გამოხატულს ძალების დაძაბვისა და მოდუნების მონაცვლეობაში; დარწმუნდეს მის კანონზომიერებაში და შემდეგ გადაიტანოს და გაატაროს ივივე პრინციპი ჯერ ადამიანებთან ურთიერთობაში (წყვილური ვარჯიშები), ხოლო შემდეგ — ბუნებასთან, მთელ სამყაროსთან დამოკიდებულებაში (სულიერი აღზრდა, სამყაროსთან ჰარმონიაში შესვლა). ასეთია „კარატე-დო“ — „კარატეს გზა“, ან, უფრო ვრცლად, „სამყაროს შეცნობის კარატეს გზა“.

გზა, რომელიც შეგირდმა უნდა გაიაროს, ჰეშმარიტების მაძიებლის გზაა. ის ყველა დროში სამი ეტაპისგან შედგებოდა (და ასეც იქნება ყოველთვის ჰეშმარიტების მაძიებლისთვის): პირველია გამოცდის ეტაპი, როცა ადამიანი ცდილობს მართოს საკუთარი თავი, მეორე — შეგირდობის ეტაპი, როცა ადამიანი მთლიანად ფლობს საკუთარ თავს და ირჩევს ცხოვრების განსაკუთრებულ წესს, რაც სხვა ადამიანებთან და მთლიანად სამყაროსთან მის ჰარმონიულობას განსაზღვრავს; მესამე — განსწავლულობის ეტაპი, როცა ადამიანმა უკვე დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს იცხოვროს ამ კანონების შესაბამისად, გამოჩნდება ოსტატი და გადასცემს მას ცოდნას. შეგირდი, ასე ვთქვათ, განდობილი ხდება. ოსტატისაგან მიღებული ცოდნა ეხმარება განდობილს ხელოვნების მწვერვალებამდე მიღწევაში და საბოლოოდ იგი თვითონაც ოსტატი ხდება.

უმასწავლებლოდ, მხოლოდ თვითგანვითარებისა და თვითშემეცნების გზით ოსტატობის მიღწევის სურვილი მირაჟია, რომელიც დაღუპვით ემუქრება ადამიანს — უკეთეს შემთხვევაში იგი იქნება არა უმაღლესი ცოდნის, არამედ უბრალო ინფორმაციის მფლობელი, უარეს შემთხვევაში კი იგი, დაღლილი და ნებისყოფადაკარგული, შეიძლება გამოიყენონ არაწმინდა, „შავი“ მიზნების განსახორციელებლად. ეს გზა ეგოიზმისა და დაქვეითების გზაა. მხოლოდ მოყვასის სიყვარულითა და პატივისცემით შეიძლება დაოსთან ჰარმონიის ზიარება, რაც ჰეშმარიტების შემეცნებამდე მიგვიყვანს.

შეგირდს უნდა შეეძლოს: 1. განსხვავება რეალურისა არარეალურისაგან, ჰეშმარიტი ფასეულობისა — წარმოსახვითისაგან, სათნოებისა — ცდუნებისაგან; 2. იყოს გულგრილი ყოველგვარი არარეალურისადმი, წარმოსახვითისადმი, მაცდურისადმი; 3. იყოს მფლობელი ექვსი სულიერი თვისებისა, ექვსი სათნოებისა:

— სრულად აკონტროლებდეს საკუთარ ფიქრებსა და აზრებს (მედიტაციის მეშვეობით);

—სრულად ფლობდეს საკუთარ მეტყველებასა და ქცევას;

— მიიღოს ყოველივე ისეთად, როგორიცაა ყოველივე — მოთმინებითა და განკითხვის გარეშე, — რადგან ყოველივე ღვთის ნებითაა გაჩენილი ქვეყანაზე;

— სიმტკიცითა და რწმენით გაუძლოს ყოველგვარ ცხოვრებისეულ გამოცდას, ყოველგვარ ცდუნებას;

— მიაღწიოს შინაგან წონასწორობას, შინაგან ჰარმონიას.

4. გაიცნობიეროს თავისუფლების აუცილებლობა; განთავისუფლების სურვილი, დაოსთან შერწყმა დაუცხრომელ წყურვილად უნდა ექცეს.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება შეგირდი გახდეს განდობილი.

ეს პრინციპი მარადიულია. იგი იყო,

ბუნ ლაპ ჩანთხავისუკი.

არის და იქნება მუდამ, მისი უნივერსალობა საუკუნეების პრაქტიკითაა დამტკიცებული და შეგირდის ამოცანაც ძალზე გამარტივებულია: მან მხოლოდ განუხრელად უნდა დაიცვას ეს პრინციპი, იცხოვროს ამ პრინციპის მიხედვით, შედეგი კი თვითონვე მოვა, უფრო სწორად, ხელოვნების სიბრძნე და ლოგიკა მიგვიყვანს მასთან.

ასე გვასწავლიდა ბუნ ლაპ ჩანთხავისუკი, უფრო სწორად, ასე გავიგე მე ის, რასაც იგი გვასწავლიდა.

ჩემი აზრით, კარგი იქნება გვახსოვდეს დიდი ლაო-ძის სიტყვები: „ვინცა სხვათა შემცნობია: განმჭვრეტელია, ვინცა თავისი თავის შემცნობია: გასხივოსნებულია, ვინცა სხვათა მძლეველია: ძლიერია, ვინცა თავისი თავის მძლეველია — მძლეთამძლეა, ვინცა გარეყოფიერს მიელტვის: ვნებაამღილია, ვინცა არყოფნას უპვრეტს: სრულქმნილია, ვინცა საკუთარ განწერილობას ფლობს: მრავალჟამიერია, ვინცა წარუვალში გარდაიცვალა: მარადიულია“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მგონია, რომ ყველაფერი ეს — ეროვნული ფედერაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, მომავალი გამარჯვებები და პრიზები — კარგია და მისასალმებელია იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთ სფეროში — სპორტული კარატეს სფეროში — წარუდგენს და გააცნობს ჩვენს თავს (ქართველობას) ე. წ. დასავლეთის ცივილიზაციას, რომელიც ყოველთვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კვალიფიკაციის დამადასტურებელ წერილობით საბუთებს და წარმატების სიმბოლოებს — მოწმობებს, სერტიფიკატებს, პრიზებსა და მედლებს. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩემი ტაი-ცი ციუანის ოსტატის ტოიო კობაიაშის მონათხრობი: როცა იგი მიუნჰენში მიიწვიეს ტაი-ცი ციუანის სკოლის გასახსნელად, პირველსავე შეწვედრაზე მოითხოვეს მისი კვალიფიკაციის დამამტკიცებელი საბუთი — სერტიფიკატი. ეს სრულიად მოულოდნელი იყოს მისთვის, რადგან აზიაში ოსტატს შორიდანვე ცნობენ — სიარულის ყაიდით, მიხრა-მოხრით, გამოხედვით, მით უმეტეს, უშუალო კონტაქტისას — ჟესტებით, სიტყვა-პასუხით. ყოველივე ამით მსჯელობენ ოსტატობის დონეზე და შესაფერის პატივსაც მიაგებენ მას. კობაიაშიმ, ტერმინ „სერტიფიკატის“ მნიშვნელობაც კი არ იცოდა, მაგრამ მაინც არ დაზარდა ახალ ევროპელ მეგობრებს, გაემგზავრა თავის მასწავლებელ ციან ტაოსთან და შეეცადა დაემტკიცებინა მისთვის ასეთი საბუთის გაცემის აუცილებლობა: ევროპას იმდენად უჭირს, რომ ოსტატსაც კი ვერ ცნობენ, უსაბუთოდ არ ენდობიან და იქნებ რითიმე მაინც დავეხმაროთო. მხოლოდ ამ არგუმენტის შემდეგ დათანხმდა ციან ტაო, ცხოვრებაში პირველად გაეცა ასეთი ცნობა — სერტიფიკატი ევროპელთათვის.

ჩვენ კი, ვფიქრობ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს „ვისი გორისა ვართ“. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ: გარეგნული ბრწყინვალება დროებითია და წარმავალი, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩინ-მედლებისაკენ ლტოლვა ქართველებს მხოლოდ ევროპასთან დაახლოების შემდეგ გაუჩნდათ — უკვე დაუძლურებულთ, გადარჩენის გზების მაძიებელთ, თორემ ადრე არც ერთ ქართველს აზრად არ მოუვიდოდა ორდენით დაეჯილდოებინა თვით ყველაზე დიდი გმირიც კი; რომ შეძლებისდაგვარად უნდა მივუბრუნდეთ წინაპართა გზას, როგორც ამას დიდი გრიგოლ რობაქიძე გვასწავლის, საქართველოს, ქართველ ერს მისი ზეობის პერიოდში სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად ჰქონდა ერთი ფუნქციაც — ინტელექტუალური მეკავშირის ფუნქცია ევროპასა და აზიას შორის, რომელიც ევროპის მიღწევებს გააზიურებდა და პირიქით, აზიელთა მონაპოვარს ევროპულად აქცევდა, ევროპელთათვის გასაგებ ენაზე „თარგმნიდა“. ამ ფუნქციის დაბრუნებასაც უნდა შევეცადოთ. მაგრამ ჯერ თვითონ უნდა ვისწავლოთ, გავიხსენოთ, შევისისხლხორცოთ ბევრი რამ.

ტყუილად როდი ამბობს ბრძენი ლაო-ძი: „ვინცა უმაღლეს კაცთმოყვარეობას ფლობს, უქმობს და ასე მოქმედებს, მოქმედებს და თავად უმიზეზოა და უჩინარი; ვინცა უმაღლეს სამართლიანობას მიელტვის, მოქმედებს, მოქმედებს და პატივ-დიდებას მიელტვის; ვინცა უმაღლეს თაყვანისცემას მიელტვის, მოქმედებს, მოქმედებს და ამიტომ არ თანაუგრძნობენ; ხოლო თუ არ თანაუგრძნობენ, თავად აიძულებს ყოველს სათაყვანოდ“.

სწორედ ამიტომ არ უნდა დავიწყოთ, რომ ფედერაციების შექმნა, შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღება და გამარჯვებაც კი ჩვენთვის თვითმიზნად არ უნდა იქცეს. სპორტული კარატე მხოლოდ პირველი ეტაპია ჰეშმარიტებისაკენ მიმავალი იმ დიდი გზისა, რომელსაც კარატე-დო ჰქვია.

**იური ყეინაშვილი,**

**(სპეციალურად „ლელოსთვის“).**

## ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

**ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ** კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეცხრე ტურის მატჩები. ლიდერთა კვარტეტს ამ დღეს გამოაკლდა სალონიკის (საბერძნეთი) „არისი“, რომელიც შინ, საკუთარ მოედანზე დამარცხდა ესპანეთის „ბარსელონასთან“ — 94:100.

სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „მაკაბი“ (ტელ-ავივი, ისრაელი)— „ლეხი“ (პოზნანი, პოლონეთი) 93:81, „კომოდორე“ (დენ-ჰელდერი, ჰოლანდია) — „ლიმოჟი“ (საფრანგეთი) 84:88, „იუგოპლასტიკა“ (სპლიტი, იუგოსლავია) — „ფილიპსი“ (მილანი, იტალია) 95:89.

ცხრა ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 9 | 7 | 2 | 16 |
| „იუგოპლასტიკა“ | 9 | 7 | 2 | 16 |
| „ლიმოჟი“ | 9 | 7 | 2 | 16 |
| „არისი“ | 9 | 6 | 3 | 15 |
| „მაკაბი“ | 9 | 4 | 5 | 13 |
| „ფილიპსი“ | 9 | 4 | 5 | 13 |
| „კომოდორე“ | 9 | 1 | 8 | 10 |
| „ლეხი“ | 9 | 0 | 9 | 9 |

ტურნირის დამთავრებამდე გუნდებს ჩასატარებელი დარჩათ 5-5 შეხვედრა.

## ᲚᲘᲜᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲣ�პᲔᲠᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

# კასპაროვი, გელფანდი...

**ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ** ქალაქ ლინარისში მიმდინარე დიდოსტატ მოჭადრაკეთა სუპერტურნირის მეოთხე ტურის შემდეგ გამოიკვეთა ორი ლიდერი— გარი კასპაროვი და ბორის გელფანდი. შეჯიბრების სტარტზე, ერთმანეთში ყაიმის შემდეგ, ორივემ ზედიზედ 3-3 გამარჯვება მოიპოვა და 3,5-3,5 ქულით სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს. განსაკუთრებით პრინციპული გახლდათ კასპაროვისა და მსოფლიოს ექსჩემპიონის ბორის სპასკის პარტია. მანამდე პირად შეხვედრებში უპირატესობა ექსჩემპიონის მხარეს იყო. ამჯერად მსოფლიო ჩემპიონმა იოლად გაიმარჯვა და ანგარიშიც გათანაბრდა — 2:2.

ამავე ტურში გელფანდმა დაამარცხა მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ნაიჯელ შორტმა (დიდი ბრიტანეთი) — ალექსანდრე ბელიავსკი, ვალერი სალოვმა — ლაიოშ პორტიში (უნგრეთი). ვასილი ივანჩუკი და არტურ იუსუპოვი დაზავდნენ.

მეხუთე ტურში კასპაროვმა და გელფანდმა შესაბამისად დაამარცხეს იუსუპოვი და გულკო, მოგროვეს 4,5:4,5 ქულა და კვლავ ლიდერობენ. დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: შორტი — ილესკასი 1:0, პორტიში — ბელიავსკი 0:1, სპასკი — სალოვი 0,5:0,5, ლიუბოეკიჩი — ივანჩუკი 0:1.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ივანჩუკი (3,5 ქულა) და იუსუპოვი (3).

## ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

### ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲓᲐ

იუგოსლავიის მთავრობა მზარს უჭერს ამ ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს, რომელსაც განზრახული აქვს 1996 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორად ბელგრადის წამოყენება. სულ მოკლე ხანში მთავრობა ამის შესახებ წერილობით გარანტიას გადასცემს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს. ამ გარანტიით იგი დაადასტურებს ოლიმპიური ქარტიისადმი ერთგულებას და პირობას დასდებს, რომ ბელგრადში ოლიმპიადის ყველა მონაწილე თანაბარი უფლებით ისარგებლებს.

როგორც ცნობილია, ბელგრადმა, ამ ბოლო დროს, ერთხელ უკვე წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ მაშინ გამარჯვება მოიპოვა ბარსელონამ.

### ᲛᲝᲒᲘᲚᲜᲘᲡ ᲭᲘᲠᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ

**ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ** ინფორმაცია მივიღეთ კანადიდან, პროფესიონალ ჰოკეისტთა ნაციონალურ ჩემპიონატში, „ბუფალო სეიბრზის“ შემადგენლობაში მონაწილე ყოფილი საბჭოთა ჰოკეისტის ალექსანდრე მოგილნის შესახებ.

საქმე ისაა, რომ მოგილნიმ „კატეგორიული უარი განაცხადა გამგზავრებულიყო სენტ-ლუისში მორიგ მატჩზე, ვინაიდან ძალზე ეშინოდა თვითმფრინავით მგზავრობა. ეს 20 წლის სპორტსმენი მატარებლით მხოლოდ მეორე შეხვედრაზე ჩავიდა ჩიკაგოში. ამ დროს კი მისმა გუნდმა სენტ-ლუისში წააგო შეხვედრა 2:4.

როგორც კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, თუ ჰოკეისტი არ შეეჩვევა მგზავრობის ასეთ პირობებს, მაშინ მას მოუწევს სხვა, რომელიმე გუნდში გადასვლა. ჩეხური პოპულარული გაზეთი „ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ იტყობინება, რომ მოგილნის გადაწყვეტილი აქვს დატოვოს ბუფალო და რომელიმე დიდ ქალაქში გადავიდეს საცხოვრებლად, რადგანაც იგი ამ ქალაქით არც ისე კმაყოფილია.

შეიძლება ამის გამო იჩენს ეს ნიჭიერი ჰოკეისტი ასეთ პირველობას.

### „ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲞᲐ“ ᲗᲣ „ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲐᲞᲐ“?!

**ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ** ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიდი“ ამასწინათ წერდა: „ჯორჯ ფორმენი შესაძლოა ხნიერია( იგი 42 წლისაა), მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იგი დიდი მოკრივე და უძლავრესი პიროვნებაა. იგი რინგზე მთელი მონდომებით იბრძვის, მაყურებელთა სიყვარული ხომ კარგა ხანია დაიმსახურა. თავისთავად მატჩი ფორმენის მონაწილეობით კრივის პროპაგანდის საუკეთესო საშუალებაა. მან ხომ 67 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 61 ნოკაუტით მოიგო. ფორმენთან შედარებით მიკ ტაისონი (ამ მომენტში იგი ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონი იყო — რედ.) უფერულად გამოიყურება და ჯო ფრეზერს არ აღემატება, რომელიც 1973 წელს მსოფლიო პირველობის მატჩში ფორმენმა ნოკაუტით დაამარცხა.

შემდეგ მიმომხილველმა ბობ არუმმა თქვა, რომ იგი მიესალმება კრივში „დიდი პაპის“ დაბრუნებას, რომელსაც 76 წლის ლეგენდარული არჩი მური წვრთნის. იმ წლებში, როცა ფორმენი კრივს ჩამოსცილდა, რელიგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, როგორც ქრისტიანი პასტორი.

თვით ჯორჯ ფორმენმა განაცხადა:

— კრივი დიდ ბედნიერებას მანიჭებს. სანამ მსოფლიო ჩემპიონთან მატჩს გავმართავ, ყოველთვიურად ვინმე ცნობილ მეტოქეს შევხვდები.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

**ᲑᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-7 ტირაჟების შედეგები.

**„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 6 45“-ᲓᲐᲜ:** ტირაჟში დაშვებულია 1.969.084 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (68) მოგება 901 მანეთია, ოთხისთვის (3.149) — 28, სამისთვის (48.626) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 28.854 ვარიანტი. 6—0, 5—1 (თბილისი), 4—95, 3—1436.

**„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ 5 36“-ᲓᲐᲜ:** ტირაჟში დაშვებულია 19.924.583 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (6.701) — 157, სამისთვის (240.041)—7.

საქართველოში: დაშვებულია 304.444 ვარიანტი. 5—0, 4—176, 3—7475.

მე-7 და 1989 წლის 51-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-7 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით.

## „ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

**ᲑᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-7 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.146.155 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (11) მოგება 5.653 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (431) — 288 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (6039) — 72 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 202.074 ვარიანტი. 13—2 (თბილისი), 12—32, 11—328.

მე-7 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით.

**რედაქტორის მოადგილე**

**უ. ჭიჭინაძე**

**ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲬᲘᲠᲘ:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მარიკა“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743